



საქართველო ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება

N 2
04/01/2019

2-02-4-201901042356



საქართველო ქალაქი ამბროლაური
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში
განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის
ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო
კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის
„ა“ ქვეპუნქტის, 85³ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85⁴ მუხლის
პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს
მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული
„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში
განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის
ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების
პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის,
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N36
დადგენილებით დამტკიცებული „ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასახლების
საერთო კრების ტიპური დებულების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული
კოდექსის 52-ე, 54-ე მუხლების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის
მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით
დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს
არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო
დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-
ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები №1 დანართით
განსაზღვრულ თარიღებში.
2. მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და
ინფრასტრუქტურის სსამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ

ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.

3. თითოეული დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს №1 დანართის მიხედვით.

4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09-დან 18 საათამდე, 2019 წლის 14 იანვრის ჩათვლით.

5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილი პირებად განისაზღვრონ:

ა) **გიორგი გაგოშიძე** - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი- **მობილურის N551 44 88 44 ელ.ფოსტა: gialo.ggg@gmail.com**

ბ) **კახაბერ ნეფარიძე** - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელი, **მობილურის N 551 208 208**, ელ.ფოსტა: **neparidze.k.66@gmail.com**

გ) **ლავრენტი მუსელიანი** - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განყოფილების ხელმძღვანელი- **მობილურის NN599165907 ელ.ფოსტა: temuri.museliani@mail.ru**

დ) **ალეკო ქურციკიძე** - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - არქიტექტურული ზედამხედველობის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის განყოფილების ხელმძღვანელი, **მობილურის N 599 28 59 57, ელ.ფოსტა: arqiteqtura7@gmail.com**

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. №13)

8. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერიდან.

ზვიადი მხეიძე



მუნიციპალიტეტის მერი
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია